სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 02-85
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON130000009)

ქ. თბილისი **„26" „აპრილი" 2013 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ „იუსტიციის სახლი"** (შემდგომში "შემსყიდველი"), მისი წარმომადგენლის, **ფინანსური ოპერაციების დირექტორის ჯუმბერ წულაძის სახით** და მეორეს მხრივ, **ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), გიორგი კანდელაკის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის N2045 განკარგულებისა და „საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული..

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის საკუთარი შემოსავლებით 500 შეკვრა A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV-30197630) სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულების დანართი #1-ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 2865 (ორიათას რვაასსამოცდახუთი) ლარი, ყველა ხარჯის (ტრანსპორტირება და ა.შ) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

3.2 1 შეკვრა (500 ფურცელი) უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ღირებულება შეადგენს 5,73 (ხუთი ლარი და 73 თეთრი) ლარს.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლი"-ს სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური.**

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება ერთიანად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 27 აპრილისა.

6.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (ქ. თბილისის იუსტიციის სახლი).**
6.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები
7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
7.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
7.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა ვალდებულებანი
9.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
9.1.1. გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
9.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნივთობრივი ნაკლის აღმოფხვრა, მათ შორის წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით, საკუთარი ხარჯით (ტრანსპორტირების ჩათვლით) ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ნაკლი გამოწვეულია ნივთის მექანიკური დაზიანებით ან/და ბუნებრივი ცვეთით.
9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

11.ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა
11.1ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).
11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი

ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.
11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან **და მოქმედებს 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი – შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:

სსიპ „იუსტიციის სახლი“

მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2

ს/ს „საქართველოს ბანკი“
BIG კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE15BG0000000291279900,

ს/კოდი: 204 580 202

ფინანსური ოპერაციების დირექტორი

ჯუმბერ წულაძე

„მიმწოდებელი“:

ი.მ „გიორგი კანდელაკი - ვესტა“
მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის #55/1
სს „საქართველოს ბანკი“,
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა:GE75BG0000000888000801
ს/კოდი: 01009005243

გიორგი კანდელაკი

დანართი N1

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლების შესავსები ფორმა

1	ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	DoubleA
2	მწარმოებელი ქვეყანა	ტაილანდი
3	გრამაჟი (გრ/მ2)	78-82
4	სისქე (UM)	104 - 110
5	სითეთრე (CIE)	148 - 152
6	გაუმჭვირვალობა (%)	>94
7	სიკაშკაშე (%)	101 - 104
8	ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN)	<150
9	შეკვრაში ფურცლების რაოდენობა	500
10	ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	DoubleA

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____